ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №106

10 თებერვალი 2012 წელი ქქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის გიორგი თევდორაძის სახით (უფლების დმადასტურებელი დოკუმენტი-ქალაქ ქუთაისის მერის წერილი 29.03.10წ. №01-2058; მისამართი: 4600, ქქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 4-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ ი/მეწარმე ნათია უშვერიძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, №12, ს/კ 60001129109; ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ქუთაისის ფილიალი; ბანკის კოდი 220101786; ა/ანგარიში 10172087648; ტელ:(055)163135)(შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 2012 წლის შესყიდვების გეგმით დამტკიცებული „სოციალური ღონისძიებების პროგრამის" ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის თაიგულებისა და გვირგვინების შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების ღირებულებაა 400 (ოთხასი) ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი – 03100000

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

„შემსყიდველი" ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს შესრულებული საქონლის მოწოდების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მიწოდების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მიწოდებისათვის გაწევის ვადებში ცვლილებების შეტანის საკითხს.

3. გარანტია

„მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდეს მაღალი ხარისხის საქონელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით. *მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადაბედოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს.*

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე

4.2 „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :

ა) ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მოცულობა და ღირებულება

ბ) მიმწოდებლის დამატებითი ღირებულების გადახდის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში შესყიდვების საქონლის შესაბამისად ამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.4 ანგარიშსწორების ვადაა სამუშაოს შუალედური და/ან საბოლოო შესრულების აქტის დამტკიცებიდან 10 სამუშაო დღე.

5. საქონლის მიწოდების ვადები

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შემსრულებელმა შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 31 დეკემბრამდე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" საქონლის საბოლოო მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 31 დეკემბრამდე

6.2 მიმწოდებლის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიურად საქონლის მიწოდების დადასტურების შემდეგ.

6.3. მიწოდებული საქონელი საბოლოოდ ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

8.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა

და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

გიორგი თევდორაძე	ნათია უშვერიძე
ქალაქ ქუთაისის მერი	ინდ. მეწარმე
(შემსყიდველი)	(მიმწოდებელი)